პედაგოგიკა და პარტია

ყველასგან ცნობილია ის პარტიული კინკლაობა და ჟინი, რაც სამწუხაროდ ჩვენში ამ ჟამად არსებობს, ხშირად პარტიული ჯინი პირადობაზე გადადის და გუშინდელი მეგობრები დღეს დაუძინარი მტერნი გამხდარან ერთმანეთის. ეს უცნაური მოვლენაა, მაგრამ ფაქტი ფაქტათ რჩება მაინც: იდეური ბრძოლა- ეს ფრიად დასაფასებელი და ხალხის გონებრივი განვითარების მაჩვენებელი- პირადულ უთანხმოებათ, გამხდარა. ასეთია სავალალოდ დღევანდელი ჩვენი საზოგადეობრივი მდგომარეობა, პარტიულ ნიადაგზე აღმოცენებული, მაგრამ თუ პედაგოგიკაშიც - ამ წმინდათა წმინდა საქმეში - შეიჭრებოდა პარტიული ჟინიანობა - ეს აღარ მეგონა! როდესაც დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობის..... ევროპის გამოჩენილ პედაგოგებს შემოეხედნათ ქუთაისის თეატრში, იფიქრებდნენ, რომ იქ იყო პარლამენტარული არჩევნები და არა პედაგოგიური. დაღლილ დაქანცული თავმჯდომარე რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს : „ბატონებო, კავშირის გამგეობაში არჩეულია ყველა პარტიებიდან: 3 სოციალ-დემოკრატებიდან 3 სოციალისტ-ფედერალისტებიდან, 2მსოციალისტ-რევოლუციონერებიდან და 1 ნაციონალ-დემოკრატებიდან“-ო. ასეთი განცხადების შემდეგ პარტიების წარმომადგენლობის რაოდენობაზე - ატყდება ერთი ყიჟინა და აურ-ზაური. აღარაფერი ესმით ერთი-მეორესი. პარტიული ჟინიანობით გააფთრებულებს აღარავის მოსდით თავში გააკრიტიკონ ის , თუ რამდენად გამოსადეგნი იქმებიან საქმისათვის არჩეული პირები! ბოლოს, ერთი პარტიის წარმომადგენლის გამოკლებით (მ.დ.) დათავდა როგორც იყო არჩევნები! როცა პირველად სახ. მასწ. კავშირი არსებობდა (1915 წ 27 დეკემბ.) გამოცხადებული იყო, რომ ის იქნებოდა უპარტიო. დღეს კი იმდენი აურ-ზაური ატყდა კავშირის გამგეობის პარტიულ არჩევნებზე!

ვერ გამიგია - რა საჭიროა პედაგოგიკაში პარტია! ხომ ვერცერთი ნამდვილი პედაგოგი, რა პარტიისაც არ უნდა იყოს ის, ვერ გადაუხვევს საღ პედაგოგიკურ პრინციპებს! ეს პრინციები კი ახალი პედაგოგიკისა მოითხოვს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას ნაციონალურ სკოლაში და არა პარტიობას. ჩვენ უნდა ვცთილობდეთ საზოგადოდ ყოველ საქმეში - და კერძოთ პედაგოგიკაში გვყავდეს ნამდვილი საქმის მცონდე ხალხი რომელიც შეძლებენ სრულს გათვიცნობიერებას ბავშვის გონებისას და არა მარტო პარტიული პირები რომელთა პედაგოგიური ნიჭი და ცოდნა გაცნობილი არ არის.საბჭოს ყველა არსებულმა პარტიებმა ჩაუკვირდნენ ამ ნაკლს, და პარტიულს შექიშპებას, ნუ ამსხვერპლებენ ასეთს დიდ საქმეს, როგორიც არის მომავალი თაობის ინტელექტუალური და ინდივიდუალური განვითარება.

ნინო ნადირაძე

1917 წელი, N6